№ 237 ნოემბერი 7, სამშაბათი 1889 ნოემბერი 7, სამშაბათი № 237

# ივერია


გაზეთის ფასი

| თვე | მან. | კ. | თვე | მან. | კ. |
|---|---|---|---|---|---|
| 12 | 10 | — | 6 | 6 | — |
| 11 | 9 | 50 | 5 | 5 | 50 |
| 10 | 8 | 75 | 4 | 4 | 75 |
| 9 | 8 | — | 3 | 3 | 50 |
| 8 | 7 | 25 | 2 | 2 | 75 |
| 7 | 7 | 65 | 1 | 1 | 50 |

ცალკე ნომერი — ერთი შაური

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას კუკიაში, ავჭალის ქუჩა, თ. ვარაიცოვის ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკის სახლებში, წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელარიასსა თავად-აზნაურთ ბანკის სახლებში სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1889 პოლიტიკური და სალიტერატურო გაზეთი 1877—1889



## სასწავლებელი და პანსიონი

**ი. რ. მოქველიშვილისა**

კუკია, ნიკოლოზის ქუჩა, ვარანცოვის ძეგლს პირდაპირ, თ. გრუზინსკისეულს სახლებში, № 21.

ამზადებს ბავშვებს კადეტის კორპუსისა, გიმნაზიისა და რეალურ სასწავლებლისათვის, აგრეთვე იყვანს პანსიონერებად ყველა საშუალო სასწავლებლის შეგირდებს. დაწვრილებით პირობის შეტყობა თვით სასწავლებელში შეიძლება.

(15—11)



ქართული თეატრი

სამშაბათს, 7 ნოემბერს, ქართულის თეატრის არტისტების მიერ წარმოდგენილი იქნება:

I

**ბაგრატ V**

ისტორიული დრამა 4 მოქმედ. კ. მესხისა.

მონაწილეობას მიიღებს ქუთაისის თეატრის არტისტი ბ-ნი სვიმონიძე.

II

**დატრიალდა ჯარა**

ვოდევილი 1 მოქმედ. კ. ყიფიანისა.

მოთამაშენი: ქ-ნნი გაბუნია-ცაგარლისა, აკალიშვილისა, დიმელი; ბ-ნი გუნია, აბაშიძე, სვიმონიძე, გედევანოვი, ცაგარელი და სხვ.

ადგილების ფასი ჩვეულებრივია

დასაწყისი 8 საათზე


ტფილისი, 6 ნოემბერი

შემდეგ იმისთანა საუცხოვო „წყობილ-სიტყვაობისა“, რომელიც ჩვენ წინა წერილში რუსულად ამოვწერეთ, „Новое Обозрѣніе“ შეჰნანის ავტორს Письма о Грузіи-სას და თითქო სწუხს კიდეც, რომ მან თავისი ძვირფასი დრო და არა ნაკლებ ძვირფასი ცოდნა-სიბრძნე შეახარჯა და შეალია იმისთანა მკვდარს საგანს, როგორიც საქართველოს ძველი ისტორიაა, და არა იმ დღევანდელ ჭირ-ბოროტსა, რომ შიმშილით კუჭი გვეწვის და თავზე სახურავი ჭერი არა გვაქვს. მართლა-და იმისთანა ჭკუის პატრონს, როგორიც ჩვენი „ნარ-დონია“ *), ჩვენის დღევანდელ გაჭირებისათვის რომ ხელი ჩაეკიდნა, აბა ძალიან-კი გაუძლობდა საქართველოს დამშეულს კუჭსა და ლამაზადაც წამოადგამდა თავზე ჩარდახსა. «ნეტარ არიან მორწმუნენი» ნათქვამია და როგორც ვხედავთ, „Новое Обозрѣніе“-საც ამ ნეტარებაში წილი ჩაუდვია. დეე ეგ იმედი იქონიოს „Новое Обозрѣніе“-მ და როცა „ნარ-დონის“ ხელით პური რამ გამოაცხვეს, ჩვენ წილს ნუღარ დაგვიდებს.

*) ავტორი Письма о Грузіи-სა თავის წერილებს ბოლოში აწერს „ნ. დ.“ თავის სახელისა და გვარის მაგიერ. ჩვენც ამას იქით ხან „ნარ-დონად“ მოვიხსენიებთ სიმოკლისათვის, თორემ „ავტორი Письма о Грузіи-სა“ მეტად გრძელია და მოსაბეზრებელიც.

რად ინება „ნარ-დონმაო“, ჰკითხავს თავის თავს «Новое Обозрѣніе»: რომ საქართველოს ძველს ისტორიას შეახმარა თავისი ძალ-ღონე მაშინ, როდესაც იგი ღონე ისე საჭიროა დღევანდელ ჭირ-ბოროტისათვისაო? მათაო, რომ დაემტკიცებინა, ვითომც ქართველებს იმდენი ათასი წელიწადი უცხოვრიათ და თავისი არა ჰქონიათ-რაო, „სხვაც რომ არა იყოს-რაო, განა თვით ეს ათას წლობითი ცხოვრება არ ითხოვს ჭკუადამჯდარ ისტორიკოსისა, თუ კრიტიკოსისაგან მეცნიერულად ახსნასა და გამორკვევასა, იკითხავს პირ-უთვნელი მკითხველიო, ამბობს „Новое Обозрѣніе“. ამ პირ-უთვნელ სჯას მკითხველისას «Новое Обозрѣніе» აძლიერებს მით, რომ თავისის მხრითაც უმატებს: «თუ ქართველებს თავისი არა ჰქონიათ-რა, უიმისოდ როგორ გასძლებდა ეროვნული არსებობა საქართველოსი ამოდენა საუკუნოების განმავლობაშიო, თვით ამ არსებობის მაგალითი ბრძნად მკვლევარისა და ისტორიკოსის თვალში მოასწავებსო, რომ ამ ერს ჰქონია რაღაც ჯერ-ჯერობით გამოუცნობელი, ჯერ-ჯერობით არ-დანახული და გამოურკვეველი, მაგრამ უეჭველად ღირებული-კი ასახსნელად და საძიებლადაო“.

«Новое Обозрѣніе» გვარწმუნებს, რომ ამას იტყოდა ყოველი პირ-უთვნელი და ბრძნულად მკვლევარი კაციო. მაშასადამე, ვინც ამას არ იტყვის, იგი პირ-მოთნე და უგუნურად მკვლევარი კაცი უნდა იყოს თვით „Новое Обозрѣніе“-ს სიტყვითვე. ხომ ესეა და აბა ახლა ჰნახეთ, თვითონ „Новое Обозрѣніе“ ამავე საგანზე რას ამბობს იმავე მეთაურში: „გონებიანად რომ დავუკვირდეთ, რა უნდა სთქვას კაცმაო ამ «Сѣв. Вѣстникъ»-ში დაბეჭდილ Письма о Грузіи-საზედ? მარტო ის თუ, რომ მათმა ავტორმა უნაყოფოდ შეახმარა თავისი დრო და ღონე (აფსუს!) იმისთანა საქმეს, რომელიც, სწორედ რომ ვსთქვათ, გამოჭმულ კვერცხის ნაჭუჭის ფასადაც არა ჰღირსო“. მეორე ადგილას ამის გამოვე უმატებს: „ამ გზაზედ დადგომა და გარჯა ტყუილ-უბრალო შრომააო“.

როგორ? ერთი და იგივე საგანი მეთაურის მეორე სვეტზედ იმოდენად ღირს საცნობიო, რომ ითხოვს ჭკუა დამჯდარ ისტორიკოსისა და კრიტიკოსისაგან მეცნიერულს ახსნასა და გამორკვევას, იმოდენად დიდი რამ არის ბრძნულად მკვლევარისათვის, რომ უეჭველად ღირებულია ასახსნელად და საძიებლად, და იგივ საგანი იმავ მეთაურის მესამე და მეოთხე გვერდზე კვერცხის ცარიელ ნაჭუჭადაც არა ჰღირს და მის ძიებისა და გამოკვლევის გზაზედ დგომა და გარჯა წყალის ნაყვაა?!.

ეს სადაური ლოღიკაა? თუ პირ-უთვნელი და გონიერ კაცი, „Новое Обозрѣніе“-ს სიტყვით, იმ საგანს ღირსად ჰხოებს საცოდნელად და გამოსაკვლევად, მაშ მარტო პირ-მოთნე და უგუნურს კაცს-ღა ეთქმის, რომ კვერცხის ნაჭუჭადაც არა ჰღირსო და ამას ხომ თვით „Новое Обозрѣніе“ ამბობს. მაშ ამ შემთხვევაში ვის-ღა ჰრჩება სანატრელი სახელი პირ-მოთნესი და უგუნურად მკვლევარისა? ეგ თვითონვე გამოიცანით და ჩვენ-კი ამას ვიტყვით, რომ მართლა თქმულა: რასაც კაცი თავის თავს უზამს, იმას სხვა არ უზამსო.

კიდევ ვიტყვით: ეს სადაური ლოღიკაა? ეს ის ლოღიკაა, რომლის წყალობითაც ეხლანდელს დროში გაზეთს „живая газета“-ს ეძახიან და „живая“ ხომ ცოცხალს თევზსავით ხელიდამ ადვილად გამოუსხლტება ხოლმე კაცსა, ხელში ადვილად არ დაეჭირინება.

აქაც ესეა. მეორე სვეტიდამ მესამე და მეოთხე სვეტამდე ცოტა თუ ბევრი მანძილია და, რასაკვირველია, ამ მანძილზედ ბევრი რამ არის ნათქვამი თავის დასაძვრენად, თუ ვინიცობაა ვინმე ულოღიკობას შესწამებდა ამ „живая газетъ“-ის მეთაურსა. და არც ჩვენა გვგონია გადავურჩეთ უიმისოდ, რომ ეს თავის დასაძვრენი არ მოგვახვიონ გასამტყუნებლად. ჩვენ-კი, რაკი წინა წერილში მოყვანილმა რუსულმა ციტატამ ლობე-ყურეს მოუდებლად პირდაპირ გაგვაგებინა დედა-აზრი მეთაურისა, რომელსაც ჰქონს თქმაც მოსწყურებია და არასიც ერთსა და იმავე დროს და ერთსა და იმავე საგანზე, ჩვენ-კი, ვამბობთ, ამ წადმა-უკუღმა ლაპარაკში იმასა ვხედავთ, რაც წინად დავინახეთ, სახელდობრ, წაჯევ-უკუჯევობას იმისთანას, რომ ერთსაც ხელთ სამფრველი ჰქონდეს გულის მოსაფხანად და მეორესაც და ორნივ ერთად-კი სასაცილოდ ასაგდებნი გამოვიდნენ.

ვინ ერთი და ვინ მეორეო? იკითხავთ. ერთია ავტორი „ნარ-დონი“, რომელსაც თავს უქონავს რომ, — აფსუს! — ტყუილ-უბრალოდ შეალიე შენი ძვირფასი ღონე და ძვირფასი დრო იმისთანა საქმეს, რომელიც ჩალის ფასადაც არა ჰღირსო მაშინ, როდესაც შენისთანა ბრძენი კაცი ბევრს რასმე მოიმაგებდა ჩვენთვის დღევანდელ ჭირ-ბოროტობაშიო, — და მეორე — ქართველები და ქართული ინტელიგენცია, რომელთაც თავსა ჰფხანს, რომ საქმე, რომლის გამოც თქვენ უწყრებით „ნარ-დონსა“ უეჭველად ღირსია ჭკუა-დამჯდარმა ისტორიკოსმა და ბრძნულად მკვლევარმა გამოიძიოს და არა იმისთანა მამლაყინწამ და ჩი ფირეკიამ, როგორიც ნარ-დონია, ეგ ალიზანგადმელი ჰეროსტრატეო. მეტი რა მოეთხოვება ეგრეთ წოდებულ „живая газета“-ს? შენც გაამებს, იმასაც და ამასთანავე ორივეს გაგწკეპავს, მაგრამ ისე-კი, რომ ერთმა მეორის ტკივილით ინუგეშოს და წყენა გაინელოს.

ამ გაწკეპაში, კაცმა რომ მართალი სთქვას, მოგებული მაინც ალიზანგადმელი ჰეროსტრატე ჰრჩება. ამ ვაჟბატონს ცოტა არ იყოს უფრთხილდება ჩვენი „живая газета“ და ან რად უნდა გვიკვირდეს: Новое Обозрѣніе-ს იმედი აქვს, რომ იგი მის რჩევას ყურში ჩაიწვეთებს, არხეოლოგიურ ბარდებიდამ გამოძვრება, დღევანდელს ჭირ-ბოროტს დაუბრუნდება და მაშინ ჰნახეთ რა ქადებსა და ნაზუქებს გამოუცხობს დამშეულს ქართველებსა და რა დახარატებულ ჩარდახს თავზე წამოადგამს. ჩვენ-კი ღმერთმა გვიხსნას იმის გამომცხვარ ნაზუქ ქადებისა და მის მიერ აშენებულ ჩარდახებისაგან. კიდევ ვიტყვით, ნეტარ არიან მორწმუნენი და ჩვენ-კი ნარ-დონისა არა გვწამს-რა: საცა და რა წრეშიაც გინდ ითვალთვალოს, იგი ფონში გამსვლელი კაცი არ არის. ეგეთი ანარამბის ნიშანი არავის დასმია შუბლზედ ისე უეჭველად და უცილობელად, როგორც ბ-ნს ნარ-დონს, მერე საკუთარის ხელითვე. ამ ვაჟბატონს თითქო ეთაყვანება ჩვენი „живая газета“ და ახლა ჰნახეთ ჩვენი ინტელიგენცია, რომელიც, Новое Обозрѣніе-ს სიტყვით, აპილპილებულია ნარ-დონზედ რუსთაველის გაუპატიურების გამო, რა სისულელეა ძირს დაშვებული, რა ბრიყვად გამოყვანილია. ამას შემდეგს წერილში ვიტყვით და ეხლა-კი ერთს კიდევ დავძენთ პირის ჩასამტკბარუნებლად.

ჩვენი „წყაზარი გაზეთი“ გულმტკივნეულობით ამბობს, რომ ჩვენს დღევანდელ ჭირსა და ბოროტს რიგიანი კაცები არა ჰყავს გასაძღოლადაო და ამ კაცების უყოლობაში იმისთანა ძვირფას დროის და ღონის პატრონი, როგორც ნარ-დონია, როდი უნდა მოსცდეს რაღაც ძველ-ძულების ძონძებისათვისაო და თუ მაინც და მაინც მოსცდება, კიდევ მეთვრამეტე და მეცხრამეტე საუკუნეს ისტორია საქართველოსი მიეტევება რომ გამოიძიოს და გამოარკვიოსო.

როგორ? სხვა საუკუნოები-ღა რად უნდა მიგვაფუჩეჩებინონ, რაკი ჩვენის ისტორიის კვლევასა და გამოძიებაზეა საუბარი? ორში ერთი: ან ის სხვა საუკუნოები სულ არა ყოფილან, ან ყოფილან და ყოფნადაც არ ჰღირებულან, თორემ რა სათქმელია, სამი ათასის წლის ისტორიაში მარტო ორის უკანასკნელის საუკუნის ავ-კარგიანობა გეპატიება რომ იკვლიო და იცოდეო? მერე ვის ეუბნება ამ პატიებას? ჯერ ნარ-დონსა, რომლის ძვირფასს დროს და ღონეს ეგრე შეჰ… ატრის Новое Обозрѣніе, და მერე ქართველთა ინტელიგენციას, რომელსაც ამით მითომ-და ჭკუას ასწავლის: ჰა, გაფთხილდით, იმაზე შორს ნუღარ გაიწევთო.

მაშ ხელი უნდა ავიღოთ რაღა მთელს ორი ათას რვაას წლის ისტორიაზედ? ბ-ნმა შავროვმა რაღა ბევრი დაამავა, როცა სთქვა, რომ ბევრი-ბევრი მეთერთმეტე საუკუნიდამ იწყება თქვენი ისტორიაო და თუ გინდათ თქვენის ვინაობის ამბავი, აქედამ დაიწყეთო, და ამ სახით ხელი აგვაღებინა მთელს წინა საუკუნოებზე. მაშინ ამ თქმისათვის ძალიან გამოეკიდა ჩვენი „წყაზარი და მადლხაზი გაზეთი“ ბ-ნ შავროვს და ეხლა-კი თვითონ იმასაც გვართმევს, რაც ბ-ნმა შავროვმა გვიწყალობა, და გვეუბნება: დასჯერდით მარტო ორს უკანასკნელ საუკუნოესაო, აქედამ დაიწყეთ თქვენის ვინაობის ამბავიო, თითქოს ჩვენი ისტორია მართლადა მარტო მეთვრამეტე საუკუნოედამ იწყებოდეს. ბ-ნ შავროვის ოდენა შებრალება მაინც ჰქონოდა ჩვენი ამ ჩვენთვის თავ-დადებულს „живая Газета“-ს!

ხოლო „Новое Обозрѣніе“-ს სასახელოდ ესეც უნდა ვსთქვათ, რომ იგი ხელს გვადებინებს სამუდამოდ-კი არა, მარტო იმ დრომდე, ვიდრე ავტორი Письма о Грузіи-სა ქადა-ნაზუქებს გამოგვიცხობდეს და ჩარდახებს დაგვიდგამდეს. თუ ამას ვუცადეთ, მალე-კი მოვესწრობით აი, ნამეტნავად თუ ღმერთი გაგვიწყრა და ნარ-დონისთანა გაბრძნობილმა კაცებმა თავისი ძვირფასი დრო და არა ნაკლებ ძვირფასი ღონე ამაებს მოახმარეს Новое Обозрѣніе-ს რჩევითა და წინამძღოლობით. აბა კუჭი მაშინ გაუძლებს საქართველოს, აი! კიდევ ვიტყვით მესამედ: ნეტარ არიან მორწმუნენი და ამ ნეტართა შორის ერთიც Новое Обозрѣніе ყოფილა.

## ახალი ამბავი

*** ჩვენ მოგვივიდა პატარა სახალხო კალენდარი 1890 წლისა, შედ-

გენილი და გამოცემული ვ. გუნიას მიერ. ამ კალენდარში ჩვეულებრივ, მოკლე საკალენდარო ცნობათა გარდა, არის პატარა წერილი სწავლა-განათლების საჭიროების შესახებ, მოკლე მიმოხილვა კავკასიისა და საქართველოის, ორიოდე პატარა საკმაოდ რიგიანი ლექსი, ისტორიული წერილი „მეფე ვახტანგ გორგასლანი“ და თარგმნილი ამბავი „პატარა პატრიოტი“. ფასი კალენდრისა ორი შაურია.

*** კალენდრის სეზონი დაიწყო. გუნიას პატარა კალენდარი უკვე დაიბეჭდა და ისყიდება. ერცელი საქართველოს კალენდარი გუნიასავე ამ მოკლე ხანში გამოვა. იბეჭდება ჩარკვიანის სტამბაში და მალე გამოვა სხვა პატარა კალენდარიც. იმავე სტამბაში იბეჭდება კედლის ქართული კალენდარი. გაზ. „მწყემსი“-ცა სწერს, რომ ჩვენი რედაქციაც ამზადებს კალენდარს საკუთრად სამღვდელოთათვისაო. აქამდე ერთი არ იყო და ახლა სამი და ოთხი ერთად გვექნება. კარგი ნიშანია, ეტყობა მოსავლიანი მერმისი მოგველის. ღმერთმა ჰქმნას!

*** ჩვენ შევიტყეთ, რომ ერთს ქუთათურს ყმაწვილს კაცს დაუწერია დრამა „რუსთაველი“ და უნდა პირველად ტფილისის სცენაზედ წარმოადგენინოს ჩვენს სათეატრო დასს.

*** დედანი ანუკა ბატონიშვილის მზითვის წიგნისა, რომლის პირი ამ დღეებში დავბეჭდეთ ჩვენს გაზეთში, პატივცემულ დ. ზ. ბაქრაძის საკუთრება არა ყოფილა. ეს ძვირფასი ხელთნაწერი ვახუშტი აბაშიძის შთამომავალს გიორგი აბაშიძეს იმისთვის გამოუგზავნია გადასაცემად „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ ბიბლიოთეკისათვის და ამ დღეებში ეს წიგნი გადაცემულ იქმნება დანიშნულებისამებრ.

*** 6 ამ თვეს, ღამის 4 საათზედ, რკინის გზის სადგურების ყარაიაზის და ბეიუკ-კიასიკს შუა დაიმსხვრა საქონლის მატარებელი № 41, რომელიც ტფილისიდგან მიდიოდა ოცდა-თერთმეტის ვაგონით. ორთქლით მატარებელი გადავარდა რელსებიდგან და გვერდზედ გადაიქცა. ათი ვაგონი, ამათ შორის რვა დატვირთული, სულ ნაჭუჭებად იქცა. დაზიანდა ორი კაცი: იაკოვლევი, მემაშინეს თანაშემწე, რომელსაც საშინლად დაეთუთქა ორთქლით ფეხი, და ობერ-კონდუქტორი ავგუსტინოპოლსკი, რომელმაც მძიმედ დაიშავა გვერდი. მიზეზი დამსხვრევისა არა სჩანს. ამბობენ, ვითომ გზა ყოფილა გაფუჭებულიო. ჯერ-ჯერობით სიარული მატარებლებისა გზის გაფუჭების გამო შეყენებულია.

*** ახალ-სენაკი: იმერეთში და ნამეტურ სამეგრელოში დიდს განსაცდელში და გაჭირებაში იყო ხალხი სხვა-და-სხვა ავაზაკობითა და ქურდობით. ამ უკანასკნელ დროს ძლიერ იკლო ქურდობამ და სხვა გვარმა ავაზაკობამაც და ამით მოისვენა სოფლის ხალხმა, გარნა, საუბედუროდ, ახლა სხვა ბოროტება გავრცელდა. ახლა ცრუ მოწმეების წყალობით შემოიღეს ყოვლად საზიზღარი და აშკარა ქურდობა - მტაცებლობა: ვინცკი განიზრახავს სხვისის საცხოვრებლის შოვნას, შეაქვს ცრუ საჩივარი ადგილობრივ მომრიგებელ-სასამართლოში, რომ ამა-და-ამ კაცმა ან ქალმა მიითვისა ანუ წამართვა ადგილი, სახლი, ძროხა, ფული და გთხოვთ ჩამოერთვას მოპასუხეს საცხოვრებელი და ჩამბარდეს მე, მომჩივანსაო. მომრიგებელი - მოსამართლე, რასაკვირველია, უნიშნავს მომჩივანს საქმის გარჩევის დღეს. მომჩივანს ამ დღეს მიჰყავს სასამართლოში ფულით ანუ სხვა რაიმე საშუალებით მოსყიდული ცრუ-მოწმენი, რომელნიც ამტკიცებენ მომჩივნის საჩივარს. მოპასუხეს, მეტადრე სოფლელს კაცს, უცოდინარობისა თუ სხვა მიზეზების გამო, ვერ შეაქვს სასამართლოში პასუხი და ამის გამო სასამართლოს განჩინება შედის ძალაში: მომჩივანს ეძლევა აღსრულებითი ფურცელი და ბოქაულის საშუალებით იბარებს საქონელს, რომელიც მსაჯულმა მიუსაჯა. ამ ნაირად ცრუ მოწმობის წყალობით საბრალოს ერთმევა იმისი ოფლით ნაშოვნი საკუთრება—ქონება და ჰბარდება ისეთს, რომელსაც არავითარი სიმართლე და უფლება არა აქვს ქონების დასაკუთრებისა. თუმცა ამას წინად რამდენმამე კაცმა განუცხადა სენაკის მაზრის უფროსს და სთხოვა, რომ მიიღეთ რაიმე საშუალება ამ ბოროტ-მოქმედების მოსასპობლადაო, მაინც მაზრის უფროსს ჯერ-ჯერობით არავითარი ღონისძიება არ მიუღია. ასე წარმოიდგინეთ, რომ ქალებიც-კი იღებენ მონაწილეობას ამ ყოვლად ურიგო საქმეში.

*** 5 ნოემბერს, მაღათოვის კუნძულზე, რაჭველმა მხერხავმა იორამ დავლიანიძემ მუცელში დანა დასცა ჩხუბის დროს რაჭველსავე იოსებ გრძელიშვილს და მძიმედ დასჭრა. დავლიანიძე შეიპყრეს, ხოლო გრძელიშვილი გაჰგზავნეს საავადმყოფოში.

*** იმავე დღეს, საღამოს 8 საათზე, მეცხრე განყოფილებაში მსროლელ ჯარის ყაზარმებთან მოკლული ნახეს სამზარეულოს პატრონი ტფილისის მოქალაქე ხვიმონოვი. დამნაშავის აღმოსაჩენად მიღებულია შესაფერი ღონისძიება.

## დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბები)

ლეჩხუმი, 4 ნოემბერი. როგორც სჩანს, წელს ადრე გვეპირება ზამთარი წვევას. ჩვენი ქვეყანა მთა-გორიანია და ნაადრევად მოსული ზამთარი არც გასაკვირველი უნდა იყოს. გასაკვირველი მხოლოდ ეს არის, რომ ეს რამდენიმე წელიწადია ჩვეულებრივად უფრო ადრე მოგვადგება ხოლმე კარს ეს ფრიად ნაკლებად ოქტომბრის თვეის საინტერესო სტუმარი. მეორე ნახევრიდამ ჩვენსკენ მეტად ცუდი ამინდები დაიჭირა. თუმცა თოვლი ბარად ჯერ არ მოსულა, მაგრამ აღარც შორსაა ჩვენზედ და განუწყვეტელმა წვიმებმა და ქარ-სუსხმა ხომ ილაჯი გაგვიწყვიტა. ასე ადრე ცუდის ამინდების დადგომა მით უფრო სამწუხაროა, რომ მიწათ-მომქმედს თავისი სახნისი თითქმის არც-კი გაუტანია ჯერ ყანაში, და თუ ბუნებამ ცოტათი მაინც ფერი არ იცვალა და ამ თავითვე დაგვიფარა ჩვენი დედამიწა თოვლმა, პური სრულებით დაუთესელი დაურჩებათ. არც სხვა მხრით არის ჯერ ჩვენი ხალხი მომზადებული ზამთრის დასახვედრად.

როგორც ზოგიერთ ნიშნებიდგანა სჩანს, ჩვენს მივიწყებულსა და თითქმის მოწყვეტილს დანარჩენ ჩვენის ქვეყნის კუთხეებისაგან ლეჩხუმის მაზრასაც ცოტ-ცოტათი ულიმებს ბედი. როგორც მოგეხსენებათ, ამ ორიოდე წლის წინად ქუთაისიდამ დ. ონამდის გაიმართა ფოსტის გზა, დაიმართა ფოსტის სადგურები და ამ მხრით მიეცა ხალხს ღონე ცოტაც არის უფრო იაფად და გაუჭირებლად მიმოსვლისა. ფოსტის გზის დაარსებამ გამოიწვია აზრი ხსენებულს გზაზედ ტელეგრაფის მავთულის გაბმისა და ეს აზრიც განხორციელდა კიდეც. სოფ. ცაგერში დაფუძნდა ქუთაისის ფოსტის განყოფილება, სადაც ყოველ გვარ კონვერტებს იღებენ და ჰგზავნიან პირდაპირ ქუთაისის ფოსტაში. ყოველივე ეს ისე საჭირო იყო ლეჩხუმელებისათვის, რომ ვინც ამ მაზრის მდგომარეობა კარგად იცის, ჩვენთან ერთად მიულოცავს აქაურ მკვიდრთ ამ პირველს ნიშნებს მოსალოდნელ წარმატებისას.

ხოლო რაც შეეხება მყუდროებისა და მშვიდობიანს ცხოვრებას, საკუთრების ძარცვა-გლეჯას და ავაზაკობისა და ავ-ხელობის შიშს, ამ მხრით ჩვენის მაზრის მცხოვრები სრულიად უზრუნველია და ისეა მოსვენებული, რომ უკეთესს ვერც-კი ინატრებს.

ჩვენის მაზრის სამხედრო პრისუტსტვია უკვე შეუდგა თავის მოქმედებას. ენკენისთვეში თავისუფალ სვანეთში დაიწყეს მორიგის ჯარის-კაცის გამოწვევა. თავისუფალ სვანეთს წელს ანგარიშით შეხვდა რვა კაცი და გამოიყვანეს კიდეც.

ამ თვეის პირველს რიცხვს დაიწყო სოფელს ცაგერში პრისუტსტვიამ თავისი მოქმედება. პირველსა და მეორე რიცხვს მორჩნენ შემდეგის საზოგადოების ოც-წლიანების სიების შესწორებას: ლუხვანოს, ზუბის, ოყურეშის, ნაკურალეშის, დეხვირის, ლენტეხის, ჩოლურის და ლაშხეთის საზოგადოებათა. აღნიშნულ საზოგადოებებში ირიცხება ორასამდე ოცწლოვანი. რამდენიმე კენჭის ყრის წინად გამოირიცხა კანონიერის მიზეზის გამო და დარჩა წილ-საყრელი 187 კაცი.

3 ამ თვეს შეუდგნენ წილის ყრას. პრისუტსტვიაში არიან: თავმჯდომარე, მაზრის უფროსი ბ-ნი კონს. ალში-

## ფელეტონი

### ქართველთა შორის

#### ჩვენი ინტელიგენცია

##### I

თქვენ შეატყობთ, რომ დღეს ყოველი წრე ჩვენის საზოგადოებისა თავისებურათა სცხოვრობს, ყოველს წრეს აქვს საკუთარი ფერი, თავისი განსაკუთრებული იერი, ცოტად თუ ბევრად აძევს ბეჭედი ურთიერთობისა, ერთის შეხედვით შეატყობ, რომ ესადა-ეს კაცი ეკუთვნის ამა-და-ამ წრეს თავისის ქცევით, ყოფა-ცხოვრებით, თუ ხასიათებით და სხვანი.

მაგალითად, ჩვენი კეთილშობილი უთუოდ უნდა აღამებდეს ყოველ დღეს უსაქმურობაში, უთუოდ სულ ქეიფებისაკენ უნდა ეჭიროს თვალი, უთუოდ უნდა ჰფლანგავდეს სამკვიდროს მამა-პაპისას და გაფაციცებული დაეძებდეს ფულიან კაცს, რომ აილოს ვალი და ერთი კაი, იქნება უკანასკნელი, ქეიფი გადაუხადოს თავის ძმაბიჭებს. ამ წრის კაცები ჩინებულად იცნობენ ერთმანეთს, ესმით ერთმანეთის გულის-პასუხი, თვალს ადევნებენ ერთმანეთის ავ-კარგიანობას, ასე თუ ისე, ავად თუ კარგად ახერხებენ საზოგადოებურ ერთობას.

ჩვენი გლეხი უთუოდ თავ-ჩაღუნული უნდა იწურავდეს შუბლზე სისხლის ოფლს შრომისას, უთუოდ უნდა ოხრავდეს და გმინავდეს მშრალ ლუკმა-პურის ძიებაში. ერთმა გლეხმა იცის გულის პასუხი მეორე გლეხისა, ესმის ყოველი მისი ფეხის-გადადგმა, მისი გაჭირება, მისი შეღავათი და იცნობს მის მოვალე-მოვახშეს და სხვანი. ამ წრის ყოველი კაცი აშკარადა ჰგრძნობს და ჰხედავს თავის საზოგადოებურ ერთობას დანარჩენებთან და ამის წყალობით იგი კიდეცა სცხოვრობს საზოგადოებურ ცხოვრებით, თუმცა ეს ცხოვრება სავსეა ნაკლითა და გაჭირებით.

აიღეთ სასულიერო წრე, აიღეთ წრე ვაჭრებისა და სხვანი. ყველგანა ჰხედავთ, რომ თითოეულ წრეს თავისი განსაკუთრებული ფერი აძევს, ყოველი წარმომადგენელი რომლისამე წრისა ჰგრძნობს თავის დამოკიდებულებას და ერთობას დანარჩენებთან. ერთის წრის კაცს აქვს მისვლა მოსვლა დანარჩენ წარმომადგენელებთან. მათ შორის თქვენა ჰხედავთ შესაფერს აღებმიცემობას აზრისას, გულის-პასუხებისას, ერთის სიტყვით, ყველა იმას, რაც საჭიროა, რომ კაცი თავის თავსა ჰგრძნობდეს საზოგადოების წევრად, ჰხედავდეს თავის კერძს მსოფლიო სუფრაზე, იცოდეს თავისი წილი ცხოვრების ავ-კარგიანობაში. ამიტომ ამასთანავე, რა-კი ცხოვრება არის გამუდმებული ბრძოლა, შეუძლებელია, რომ ერთს წრეს არა ჰქონდეს ცხოველი დამოკიდებულება მეორესთან. მთელი აზრი ცხოვრებისა მდგომარეობს ამ დამოკიდებულებასა, ურთიერთობასა და ბრძოლაში.

რამდენადაც ხალხი დაქვეითებული და ჩამორჩომილია, იმდენად ეს საზოგადოებრივი დამოკიდებულება მწვავეა, ურთიერთობა დამჩაგვრელია და ბრძოლა—სასტიკი, შეუბრალებელი, დაუნდობელი. ხოლო რაც უფრო წარმატებაში შედის ხალხი, მით დამოკიდებულებას ემატება სიტკბოება, ურთიერთობა აღორძინებს და აძლიერებს ყოველს თითოეულს წევრს ცალკე და მთელს ხალხს ერთად, ბრძოლა უფრო ნაყოფიერი და თან ადამიანური გამოდის. წარმატებულ, განვითარებულ ცხოვრებაში კაცის ჭკუა-გონება ისხამს ფრთასა, ეზიდება მაღლა, რომ იქიდამ გადაჰხედოს გარემო ავ-კარგიანობას და ნიშანში ამოიღოს უკეთესი საგანი, რომელსაც უნდა ეტანებოდეს თითოეული კაცი საკუთრივ და მთელი ხალხი და კაცობრიობა ერთად. ვინც უკეთესს იდეალს დაუყენებს თვალ-წინ საზოგადოებას და აჩვენებს მოკლე და უტყუარს გზას ამ იდეალის განხორციელებისას, ის ადრე თუ გვიან უეჭველად ჩადგება ცხოვრების სათავეში და დაიმსახურებს საზოგადოების ყურადღებას.

**

დღეს დაწინაურებულ ხალხში ამ გვარი მეთაურობა უჭირავს მთელ კრებულს ინტელიგენციისას, რადგან ცხოვრება და მეცნიერება იმდენად რთულია, რომ თითო კაცისთვის შეუძლებელია ყოველი მეცნიერება და ყოველი მხარე ცხოვრებისა სულ ყველაზე უკეთ იცოდეს და ყველასათვის გზა მაჩვენებელ ვარსკვლავად შეიქმნეს. განათლებულ ხალხთა ინტელიგენციამ თავის მეცადინეობით დღეს უკვე დაიჭირა ადგილი ცხოვრებაში, შეადგინა თავისი წრე, რომელშიაც თავისუფლად შეუძლიან ჩაერიოს ყველა სხვა წრის კაცს, თუ-კი აქვს ხალისი გონების ვარჯიშობისა და თუ ამასთანავე ღონეც შესწევს. ყოველი თითოეული ინტელიგენტი მჭიდროდ დაკავშირებულია ამ წრესთან, ყოველთვის ხსნილი აქვს გზა დანარჩენ იტელიგენტებთან, მათ შორის აღებმიცემობა აზრისა, იდეალისა, გრძნობისა განუწყვეტელია. მათი მეცადინეობა იქითკენ არის მიმართული, რომ შესძლებისამებრ დახმარება აღმოუჩინონ ერთმანეთის აზრს, რომელსაცკი რაიმე საზოგადო სიკეთე და ბედნიერება ეტყობა და თანაც ჭეშმარიტებასთან არა სტყუის. ბევრი ხანიც არ გაივლის, რომ დაწინაურებულნი ხალხნი თავიანთ შინაურსა და გარეულ საქმეებს გადასწყვეტენ არა თოფისა და წამლის საზარელ ზედმომქმედებით, არამედ თანხმად იმ კეთილ-გონიერისა და ადამიანურის განაჩენისა, რომელსაც დაადგენს ამორჩეული კრებული ინტელიგენციისა. ამის ნიშნებს უკვე ჰხედავს ყველა, ვინც-კი ძიების თვალით დაჰკვირვებია განათლებულ ხალხთა ცხოვრებას. ასეთი საპატიო ადგილი და ასეთი სპეტაკი მერმისი უძევს თვალ წინ განათლებულ ხალხთა ინტელიგენციას, რომელმაც საუკუნოთა განმავლობაში დაუმტკიცა ქვეყანას, რომ იგი ყველაზე უპირატესად ემსახურება ჭეშმარიტებას, მართალს და სიკეთეს კაცობრიობისას.

**

დავანებოთ თავი ამ წამალდუნებელ საგანს და ისევ ჩვენს ვითარებას დავუბრუნდეთ. ჩვენშიაც არის რაღაც ნიშანი ინტელიგენტობისა და ამიტომ როგორც შემოღებულია, რომ ანაბანის მცოდნეს ყველას ინტელიგენციაში მოაქვს თავი, არ შეგვიძლიან ორიოდე სიტყვა არა ვსთქვათ აგრეთვე ქართველ ინტელიგენციაზე.

ჩვენში ყოველ წრესა ჰყავს საკმარისად ისეთი წევრი, რომელსაც დაუმთავრებია განათლება თვით უმაღლეს სასწავლებლებში. საშუალო განათლების მქონეთა რიცხვი ხომ მრავალია. მაგრამ სავალალო ის არის, რომ ჩვენებურს ინტელიგენციას დღემდე არა აქვს თავისი წრე, საკუთარი თავშესაფარი, სადაც იგი კი არ უნდა ჰკარგავდეს შეძენილს სწავლა-განათლებას, ინტელიგენტობას, არამედ სადაც, პირ-იქით, იგი უფრო მხურვალედ ეტანებოდეს თავის სწავლის გაზევრებას, გამატებას, უფრო ნათლად გამოიხატოს თვალ-წინ თავისი იდეალები, იმათი ძალა და დიდება. ჩვენი ინტელიგენცია დაქსაქსულია, ჩარეულია სხვათა წრეებში, კეთილშობილი ინტელიგენტი კეთილშობილთა წრეში ტრიალებს, სასულიერო წოდებისა—მღვდელ-დიაკვნებში, გლეხი ინტელიგენტი უმეტეს ნაწილად «ჩინოვნიკების» წრეში ჰსულდგმულობს და სხვანი.

ამით მე იმას-კი არ ვამბობ, ვითომც ინტელიგენცია განზე უნდა გაუდგეს ცხოვრებას, გაჰშორდეს კეთილშობილთა წრეს, სამღვდელოებას, ახლო არ გაეკაროს მოხელეებს. ღმერთმა დამიხსნას ასეთის აზრისაგან.

ბაია, წევრნი: მომრიგებელი-შუაკაცი ბ-ნი დიმ. ბაქრაძე, სამხედრო ოფიცერი თავ. ტარასი ანჩაბაძე, თავ. დათა ჩიქოვანი. ექსპერტები სამხედრო და სამოქალაქო უწყებისანი ბ-ნნი ნიკოლაი ჩუიევი და თევდორე ჩუდეცკი. ზემოხსენებულ საზოგადოებათაგან უნდა გაეიდეს წელს 16 კაცი (სულ მთელის მაზრიდამ უნდა იქმნეს გაყვანილი წელს 37 კაცი). თერთმეტ საათზე დაიწყო წილის ყრა და დასრულდა საღამოს ექვს საათზედ. საზოგადოება ბლომად მოაწყდა საარჩევანო დარბაზს. ხოლო არც გასაწვევად არჩეულებს და არც მათს ქირისუფლებს ისე აღარ ემჩნეოდათ მწუხარება, როგორც წინა წლებში. წილის ყრის დროს უმეტესი ნაწილი მოწვეულებისა მხნედ და თამამად მიდიოდნენ ბილეთების უჯრასთან და იღებდნენ ბილეთს. იმათი სახის გამომეტყველება არ უმტკიცებდა მაყურებელთ, რომ დარდი რამ ჰქონებოდათ. დღეს იმ თექვსმეტს, რომელთაც ერგოთ წილის ყრით სამხედრო სამსახურში გასვლა და დამაბრკოლებელი მიზეზიც არა აღმოუჩნდათ-რა, მიაღებინებენ ფიცს ხელმწიფისა და ტახტის ერთგულებისას და შემდეგ დაითხოვენ დროებით თავ-თავიანთ სახლობასთან გამოსამშვიდობებლად. ათს ამ თთვეს არის დანიშნული დანარჩენ ჩვენის მაზრის საზოგადოებათა საჯარის-კაცოთათვის წილის ყრა. აქვე უნდა აღენიშნო ის სასიამოვნო ამბავი, რომ თითოეული წევრი ზემოხსენებულის პრისუტსტვიისა მეტად ჩინებულად და უნაკლულოდ ასრულებდა თავის მოვალეობას. არც ერთს შემთხვევაში შეცდომას ადგილი არა ჰქონია მათს მოქმედებაში და სასწორი მართლმსაჯულებისა და კანონიერებისა ერთის ბეწვის ოდენადაც არ გამრუდებულა.

ქაიხოსრო გელოვანი

◆◆

## ქორწინება და განქორწინება ამერიკაში

წერილები დე-ვარინიისა

(შემდეგი *)

ამ სიძნელის უფრო აშკარად საჩვენებლად მოვიყვანთ იმ ამბავს, რა ამბავიც ეხლა ნიუ-იორკშია, იმ ქალაქში, სადაც ერთად-ერთ განქორწინების შემაწუნარებელ საბუთად და მიზეზად ღალატი ითვლება. რამდენჯერ სცდილან სხვა მიზეზიც შესაწუნარებელი გაეხადათ; მწერლობა სულ იმას გაიძახოდა, თუმცა-კი ამაოდ,—რომ მარტო ქმრის ღალატი არ უშხამავს და უწამლავს დედაკაცს ქორწინების კავშირსაო, არის კიდევ სხვა მიზეზი, მიზეზი როგორც ფიზიკურის აგრეთვე ზნეობრივის თვისებისაცა, რომელიც უფრო შესანიშნავია, უფრო მხედველობაში მისაღები და მეტად შესაწუნარებელი, ვიდრე ღალატიო. დიაღ, თუმცა უგმაყოფილონი ბევრნი იყვნენ, კანონმა მაინც თავისი გაიტანა და ნიუ-იორკის შტატში ცოლ-ქმართ მხოლოდ ღალატის საბაბით შეუძლიანთ ერთმანეთისაგან განქორწინება. ასევე ძნელია კანონის შერყევა სხვა შტატებშიაც. ამბობენ კიდევ, რომ საფედერალო მოსამართლენი გვყავდეს და იმათ გავარჩევინოთ განქორწინების საქმე იმ შემთხვევაში, როცა ცოლ-ქმარნი სხვა-და-სხვა შტატის მკვიდრნი არიანო. ამ საშუალებით კანონთა სხვა-და-სხვაობას ეშველებოდა რამე და საქმეს ცოტად თუ ბევრად მოევლებოდა როგორმეო. მაგრამ თუ გასაუმჯობესებელია რამე, ისევ წესი და რიგი განცხადებათა, რომლის წყალობით კანონს გზას უხვევენ და მართლმსაჯულებას ატყუებენ. ამ განცხადებათა წყალობით მოხდება ხოლმე ხანდახან, რომ ხშირად ერთი მეუღლე თავისუფლდება, განქორწინება მეორე მეუღლეს იმისდა უცოდინარად, იმისდა გაუგებრად. არის ხოლმე ისეთი შემთხვევაც, რომ ამ მეორემ რამდენისამე წლის განმავლობაში ამ განქორწინებისა არა იცის-რა.

აი ამას წინად რა ამბავი მოხდა: ცოლ-ქმარს ლავშარაკი და უსიამოვნება მოუვიდათ მამაკაცის ცუდის ყოფა-ქცევის გამო. მეუღლენი მორიგდნენ ერთმანეთში, ხალხის აყვანებისა და ალაპარაკებისა ეშინოდათ, რადგან ქმარს თვალ-საჩინო ადგილი ეჭირა საზოგადოებაში, და ამიტომ ქმარმა ცოლს საკმაოდ ბლომა ფული მისცა და სიდედრითურთ ევროპაში გაჰგზავნა. ამის შემდეგ ქმარმა სასამართლოში თხოვნა შეიტანა, რომ ჩემს ცოლს გამეყარეთ, განმაქორწინეთო. ჰკითხეს, რომ შენის მეუღლის ადრესი შეგვატყობინეო. კაცმა უპასუხა: არ, ვიცი რადგან ჩემი ცოლი საზღვარ-გარედ არის სადღაც, ერთს ადგილს არსად არის დაბინავებული და აქეთ-იქით დამოგზაურობსო. ეს შემთხვევა კანონს ადრევე მიღებული ჰქონდა სახეში და ამიტომ მოსამართლემ ბრძანება გასცა: ორს გაზეთში დაბეჭდეთ განცხადება და დაიბარეთ ამ კაცის ცოლი აქაო. ერთი გაზეთი შტატს გარედ არის გავრცელებული, მეორე-კი იურიდიული და მხოლოდ ვექილები ჰყავს მკითხველებად. განცხადებათა დაბეჭდვის შემდეგ სასამართლო შეუდგა საქმის განხილვას. ქმარმა თავისი მოწმები წარადგინა მოსამართლეთა წინაშე, ცოლმა-კი ამ ამბისა არა იცოდა-რა, სასამართლოში იმის მხრივ არავინ იყო და ამიტომ ქმარმა მოიგო საქმე და განქორწინების ნება-რთვა მიეცა. ამ კაცის ცოლი წელიწად ნახევრის შემდეგ დაბრუნდა ამერიკაშივე და მაშინ შეიტყო უოველივე დაწვრილებით. ქმარს-კი უკვე ცოლი შეერთო ამ ხნის განმავლობაში და იმ ქალის ადგილი სხვას დაეჭირა კანონიერად.

ერთი ამისთანავე ამბავი მოხდა ამას წინად კენტუკში. ქმრის სახლში არ ყოფნის დროს, ავსტრალიაში წასვლისას ღიღა რაღაც საქმეებისათვის, ცოლმა თხოვნა შეიტანა, რომ განმაქორწინეთ, რადგან ჩემი ქმარი მწვალებელი ეგუთვნის, იმ მწვალებელთ, რომელთაც შორისაც დედაკაცთან უოველივე კავშირი შეუძლებელიაო. ეს გარემოება კენტუკის კანონ-მდებლობას მხედველობაში აქვს ნაქონი და საზოგადოდაც ეს შტატი სხვა შტატებზედ სასტიკად ეპყრობა ქორწინებას. ამ შტატში ახალგაზდა ისე ვერ გათხოვდება, თუ მშობლებისაგან ნება არა აქვს დართული, ოც-და-ერთ წელზედ ადრე. ამ კანონის წყალობით, ამ კანონისა, რომელიც არაფრად ეჭაშნიკებათ კენტუკის ემაწვილ ქალებს, ერთ გვარმა გაწრობამაც-კი იჩინა თავი ჯეფერსონვილში, შტატის ინდიანის მოსაზღვრე ქალაქში. 1889 წლის იანვრის ამერიკის გაზეთებში შემდეგი განცხადება იყო დაბეჭდილი: „ვისაც სურს, შეუძლიან შეისყიდოს ჯეფერსონვილში (ინდიანში) შემოსავლიანი სააგენტო ქორწინებათა. ეს თანამდებობა ფრიად სასიამოვნო და მოსავალია, ზედ გამოჭრილი საქმე ახალგაზდა და მოღვაწე კაცოსათვის. მსურველმა წერილი მოიწეროს ვ. კრასტტთან, რომელიც ვალდებულად სთვლის თავის თავს ამ თანამდებობის მეისრეულს შემოსავალი მამულისა და ანგარიშის წიგნები ჩაბაროს.

ჯეფერსონვილი მართლაც-და ამერიკელ გრეტნ-გრინს მოაგონებს ადამიანს, ხოლო ვილიამ კრასტტი ამ საქმეში სალეგენდო მჭედლის როლსა თამაშობს. ყოველ ხუთშაბათობით, შემოდგომასა და ზამთარსა და, ყოველ დღე, ზაფხულობითა და გაზაფხულობით, ვილიამ კრასტტი ლუისვილიდგან მოსულ გემების ნავთ-სადგურთანა სდგას. ერთის შეხედვითვე იცნობს ხოლმე შეყვარებულთ და დიდის სიფრთხილით აჩეჩებს ხელში თავისს სადარბაზო ბარათს. აი ამ ბარათზედ რა სწერია: „ვილიამ კრასტი, სამატრიმონიალო აგენტი, ქორწინების მსურველთ ჰპატრონობს ყოველსავე ცნობასა და წვლილს“. «შეყვარებულთ პირველ შეხედვითვე ცნობაზედ ადვილი არა არის-რაო, ამბობს იგი: და ამ საქმეში იშვიათად შემცდება ხოლმეო».

ბ-ნი კრასტის ანგარიშით, კენტუკიდგან ქალის მოტაცება და შემდეგ ჯეფერსონვილში ქორწილის გადახდა სულ 23 მანეთი ეღირებაო: მგზავრობა დაჯდება ათი შაური, ნება-რთვის მიღება—5 მანეთი, მოსამართლეს—12 მან. 50 კაპ. და აგენტს—5 მანეთი. ამ ფულით საქმე კარგად მოგვარდებაო.

უველაზედ საკვირველი-კი ის არის, რომ ადამიანს ცხადად და დაუფარავად, დაუსჯელად შეუძლიან კანონს გზა აუხვიოს და ეს გზის ახვევა სულ სამი მანეთი დაუჯდება. ამისთანა გზის ახვევისა ერთი და ორი მაგალითი არ არის. მაგალითებრ, მის სმიტმა ქმარს ღალატი შენიშნა, უდარაჯა და დანაშაულზედ მიასწრო. შეიტანა თხოვნა განქორწინებისა და ნება გამოუვიდა: ქმართან შეგიძლიანთ აღარ იცხოვროთ და სხვას მისთხოვდეთ, ხოლო თქვენს ქმარს-კი აღკრძალული აქვს მეორედ ცოლის შერთვაო. ბ-ნმა სმიტმა სამი მანეთი დახარჯა, მდინარეს გადავიდა, თანაც ნიუ-ჯერსეს შტატში ამოჰყო და იქ შეირთო კანონიერად ცოლი. ამის შემდეგ ისევ დაბრუნდა ნიუ-იორკში საცხოვრებლად. მდინარე გაღმონის ამ მხარეს იგი განქორწინებული ქმარია, ხოლო იმ მხარეს—ცოლიანი კაცი; ნიუ-იორკში იმის მეორე ცოლი საყვარლად ითვლება, ხოლო მეორე ნაპირას მდინარისას—კანონიერ ცოლად; ამ ქალაქში იგი ორ ცოლიანი კაცია, ხოლო იმ ქალაქში-კი კანონის წინაშე არავითარი დანაშაული არ მიუძღვის.

(შემდეგი იქნება)

*) იხ. „ივერია“ № 225, 226, 227, 228, 230 და 232.

◆◆

რატომ? უნდა ყოველ წრესთანა ჰქონდეს მისვლა-მოსვლა და კავშირი, რომ ამის წყალობით მიიღოს ჯეროვანი მონაწილეობა თვით ცხოვრებაში და იმოქმედოს ამ ცხოვრებაზე თანახმად თავის მაღალ იდეალებისა, რომ ამითი ყველგან აღძრას ცხარე წყურვილი უკეთესის არსებობისა შინაურობასა და გარეულობაში. მაგრამ საქმეც ის არის, რომ ამ ჩარევასთან ერთად მთელს ინტელიგენციას უთუოდ უნდა ჰქონდეს ერთმანეთთან გადაბმული კავშირი. ესეთი მტკიცე და მჭიდრო კავშირი სწორედ აუცილებელია, მეტადრე იმისთანა გარემოებაში, როგორშიაც იმყოფება დღეს ჩვენის ქვეყნის ავ-კარგიანობა. აგერ თითქმის ორმოც-და-ათი წელიწადია, რაც ჩვენი პოეტი სჩიოდა, რომ

ძნელი არის მარტოობა სულისა—
მას ელტვიან სიამენი სოფლისა.

ჩვენი ინტელიგენტი ისევ გამარტოკავებულია და უამხანაგო. ბარათაშვილის დროს რომ ქართველ ინტელიგენტს ვერ ეპოვნა თავისი სწორ ამხანაგი, ეგ კიდევ ისეთი საკვირველი არ იყო, რადგან იმ დროს ჩვენში სწავლა-განათლება და უმაღლესი მიზიდულებანი კაცისა ახალი ხილი გახლდათ. მაგრამ დღეს, როდესაც თითქმის ყოველ ნაბიჯზე დაგხვდებათ ასე თუ ისე ნასწავლი კაცი, სწორედ გასაოცარია, რომ ქართველი ინტელიგენტი შეწუხებული იყოს მარტოობით, სატირელი და სავაგლახოა, რომ ქართველ ინტელიგენციას არა ჰქონდეს მჭიდრო წრე, სადაც ყველანი ხელი-ხელ გადაბმულნი შესდგომოდნენ საქმეს ქვეყნის წარმატებისას, სადაც ერთი ეხმარებოდეს მთელს კრებულს და მთელი კრებული ყოველს თავისს წევრს განვითარებისა და წარმატების დიდებულს ასპარეზზე. და სამწუხაროც აბა ის გახლავთ, რომ მთელი ჩვენი ინტელიგენცია ამ ყოფაში ატარებს თავის შეუშურეველ წუთი-სოფელს.

**

ჩვენი ცხოვრება ჯერ ისევ იმ კიბეზე სდგას, რომ ქართველი საზოგადოება ვერა შენიულობს ინტელიგენტს, ეხამუშება ინტელიგენტის სულის მოთხოვნილება, არ ესმის მისი წადილი, ეუცხოვება მისი საგანი ცხოვრებისა, სასაცილოდ არა ჰყოფნის მისი აზრი შესახებ ქვეყნის სიკეთისა და სხვანი. ამიტომ ქართველი ნასწავლი კაცი, რომელსაც განზრახვა აქვს მარტოდ-მარტო ჩაებას ქვეყნის სამსახურის უღელში, უნდა იყოს ზნეობრივად სწორეთ ჰერკულესის ღონისა, რომ ცხოვრების ტალღებმა არ შეაცურონ განუსაზღვრელ მორევში, სადაც უიმედოდ ჩამქრალია ყოველივე საზოგადო საქმე, სადაც მივიწყებულია ქვეყნის სამსახური და სადაც ყოველი თითოეული კაცი მხოლოდ იმის ფიქრში-ღა არის, რომ როგორმე თავს უშველოს, თუნდაც იმითი, რომ ეზნიოს იმის მეზობელს და განსაცდელში ჩავარდეს თვით ბედი მთელის ქვეყნისა. ზნეობრივი ჰერკულესობა იშვიათია ყველგან და ნამეტურ ჩვენში. ხასიათის სიმტკიცე ხვედრია მარტო თითო-ოროლა ბედნიერისა, რომელიც სიკვდილამდე ეტრფის თავის იდეალებს, თავის აზრებს და ემსახურება საქვეყნო საგანს, გინდაც ამისთვის სულ ქარ-ცეცხლს აყრიდეს მას საზოგადოება.

უფროს-ერთი ინტელიგენტი, როგორც ყველგან, ჩვენშიაც შემკულია შუათანა კაცის ხასიათით. ამისთანა ხასიათის კაცს არ შეუძლიან გამუდმებული, ხანგრძლივი ბრძოლა გარემოებათა სიმწვავესთან. ამიტომაც ვხედავთ, რომ ქართველი ინტელიგენტი კიდევ არა ჰღალატობს თავის თავსა და აზრებს, ვიდრე სასწავლებელშია. ამხანაგებთან ერთად იგი მხნეობს და ირჯება, რომ გაიფართოვოს საზღვრები ცოდნისა, გაისუფთაოს გულის წადილები, შეიმუშაოს უმაღლესი იდეალები კერძო კაცისა თუ საზოგადო ცხოვრებისა. სწავლის დამთავრების შემდეგ იგი, საუკეთესო აზრებით გატაცებული, ადამიანურის წადილებით აღვსილი და იმედიანი, მოდის ჩვენს ქვეყანაში.

რამდენიმე ხანი იგი ჯერ სულ ეძებს იმისთანა წრეს, სადაც თამამად შეეძლოს გულ-ახდით წარმოსთქვას თავისი გულის პასუხები, თავისი გულის ნადები, განიზიაროს ქართველ ინტელიგენტთა ცოდნა, გამოცდილება, მიმართულება და სხვანი, რომ უმცროს ძმასავით ამოუდგეს სხვებს მხარში და, როგორც სიცოცხლით სავსე და ჯერ დაუღალელი ახალგაზდა, მხურვალედ მიჰყოს ხელი მკას ამ მდიდარსა და ხელ-უხლებელს სამკალში.

რასაკვირველია, ძებნა ინტელიგენტთა წრისა ამაოდ ჩაუვლის ამისთანა ახალგაზდას, რადგან ჩვენში ასეთის წრის ნასახიც ჯერ არსადა სჩანს. ახლად მოსულს ინტელიგენტს დანარჩენები ან ამაყად დაჰყურებენ ზემოდამ, რომ აგრძნობინონ, რომ იგი მათთვის სრულებითაც არ არის საჭირო, უმისოთაც კარგად ახერხებენ, რაც მათ უკისრნიათ. ან ლაქუცს დაუწყებენ იმიტომ კი არა, რომ იმისი ნორჩი ძალ-ღონე გამოიყენონ მართლაც რამ სასარგებლო საქმეში, არამედ იმიტომ-რომ ახალი მომხრე უშოვნონ თავიანთ ქვენა განზრახვას...

ორსავე შემთხვევაში მოსვლისთანავე ჩვენი ინტელიგენტი რჩება გულ-ჩაწყვეტილი, გულ-ნაკლული. ვერა ჰხედავს ნამდვილს მოღვაწეს ქვეყნისას, რომელიც ალტაცებით უნდა აწვდიდეს ხელს, ვინც-კი მოდის და უნდა საქმეში ჩაბმა. ვერა ჰპოულობს ტოლ-ამხანაგს, ქვეყნის წარმატების მსახურს. არ არის წრე, რომელმაც აჩვენოს ვითარება საქმისა, გაუადვილოს და შემწეობა აღმოუჩინოს პირველ ნაბიჯის გადადგმაში, რაც ასე ძნელია ყველასათვის, თვით ძალიან გამოცდილთათვისაც-კი. ჰხედავს, რომ ყველანი, თითქო გაბუტულნი არიანო, მიმსხდარან თავ-თავიანთ კუთხეში და კუსავით გამოიყურებიან შორიდამ. არავითარი ერთობა, არავითარი ამხანაგობა...

**

ახალგაზდა ინტელიგენტს მაინც ჯერ კარგა ღრმადა აქვს გამჯდარი ძვალსა და რბილში მისწრაფება ქვეყნის სიკეთისაკენ, ხალისი და სამსახური საბედნიეროდ თავის ხალხისა. ამიტომ იგი თავის-თავის ანაბარა სცდილობს სამსახური გაუწიოს შეთვისებულს აზრებს, გაემკლავოს სამშობლოს მოუწყობლობას და უგზო-უკვლობას. ჯერ საკმარისადა ჰგრძნობს ცეცხლს გულში და ამიტომ უძლებს საზოგადოების გულ-გრილობას, დაცინვას, გამწარებას და სხვანი, მაგრამ რადგან ამისთანა გარემოებაში განმარტოკავებულ მოღვაწეს მხოლოდ რკინის ხასიათით შეუძლიან თავის გატანა ბოლომდე და რადგან ასე იშვიათია ასეთი ხასიათი, ამიტომ ჩვენი ახალგაზდა აწყვეტს თავს ხან აქეთ, ხან იქით ერთი ორი წელიწადი და შემდეგ-კი იგი ამოჰყოფს თავს ან კეთილშობილთა წრეში, თუ დიდის გვარიშვილობისაა, და ვითარცა ნამდვილი წარმომადგენელი ამ წრისა, იგი კიდეც გიწყენს, რომ ცოტა ხნის შემდეგ მიხვიდე მასთან ისე, როგორც ინტელიგენტ კაცთან. იგი ეხლა რომ გაეცნობა ვისმე, კი არ გაეცნობა, როგორც კაცი, ადამიანი, არამედ როგორც კნიაზი—„მე კნიაზ თეიმურაზი გახლავართო“. და თქვენი ბრალი, „თუ ვაშე სიატელსტვო“ დაგავიწყდა და მუდამ ეგ არ გაკერია პირზე მასთან ლაპარაკში. მშვიდობით ქვეყანავ და იმის უკულმართობავ!..

ან სასულიერო პირთა წრეს მიემხრობა და მაშინ იგი ინტელიგენტიკი აღარ არის, იგი მღვდელია, რომელსაც მარტო ტაბლები-ღა აგონდება და მეტი აღარაფერი. გამარჯობა რომ უთხრა, ეგონება ქელეხში მეპატიჟებიანო...

ან არა-და, „ჩინოვნიკი“ შეიქმნება თავიდამ ფეხებამდე... ასეთი საშინელი შედეგი მოსდევს იმ გარემოებას, რომ ქართველმა ინტელიგენციამ ვერ იქნა და ვერ მოიყარა თავითავს, ვერ შეადგინა წრე, სადაც ახალგაზდას ყოველთვის შეეძლოს პოვნა გამხნევებისა, დარიგებისა, გახალისებისა და სადაც იგი ბოლომდე შერჩებოდეს თავის თავს, თავის იდეალებს...

სანი

# დეპეშები

5 ნოემბერი

პეტერბურგი. სახელმწიფო საბჭოს-თვის წარუდგენიათ პროექტი იმისი, თუ როგორ უნდა იქმნას მოყვანილი წესსა და რიგში საქმე თევზაობისა კასპის ზღვასა და ვოლგაში.

გაზეთები იუწყებიან, რომ გუბერნატორებს ეთხოვათ, იტვირთეთ წინამძღოლობა და მეთაურობა რკინის გზის შტოების გაკეთების საჭიროება საცა იყოსო, გამართეთ ბჭობა და თათბირი ამ საგნის შესახებ და და სკვნილი აზრი წარმოუდგინეთ ხოლმე უმაღლესს მთავრობასაო.

„Новое Время“-ს გაუგონია, რომ საბოლოოდ გადასწყდა სადამოქნო ყარაული დაექვემდებაროს სამხედრო უწყებასაო.

ხარკოვი. აქ ჰმართავენ ქარხანას ღორების სახოცად და იმის ხორცის საზიდავად საზღვარ-გარედ. ამ საქმეს ჰმოთავეობს ჰამბურგელი სოტმანი.

ოდესა. ბელინო ფენდერსის ქარხანას შეუკვეთეს ორის ფოლადის მინონოსკის აშენება.

ბუქარესტი. რადგან მინისტრების უფროს-ერთმა წინაამდეგობა გამოაცხადა, გადასწყდა დათხოვნილ იქმნას პალატა. კატარჯი სამსახურიდამ გადადგა. ახალის სამინისტროს შედგენა მიენდო გენერალ მანუს.

ლონდონი. მართალი გამოდგა, რომ რიო-დე-ჟანეიროში რევოლიუცია მოხდა. არეულობა დაწყებულა სამხედროთა ამბოხით; ზღვათა მინისტრი მძიმედ არის დაჭრილი; დანარჩენი მინისტრები შეპყრობილ იქმნენ; გამოაცხადეს რესპუბლიკა; დაარსდა დროებითი მთავრობა, რომელმაც და უყოვნებლივ მიიღო ღონისძიება იმპერატორის სახლეულობის დასაფარავად.

რიო-დე-ჟანეირო. დროებითმა მთავრობამ გამოსცა მანიფესტი. მანიფესტში გამოცხადებულია, რომ ბრაზილიაში ერთ-მთავრობა მოისპოვო. საჭიროა ვერიდებოდეთ ყოველ-გვარს უწესოებასა და არეულობასაო. პროვინციებიდამ მოდის მრავლად წერილები თანაგრძნობისა წესწყობილების შეცვლისათვისაო. მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარედ ნამყოფი შეპყრობილია. იმპერატორს მოეპყრნენ დიდის პატივის-ცემითაო.

ბუქარესტი. ახალი სამინისტრო შედგენილ იქმნა. მანუ შინაგან საქმეთა მინისტრად დაინიშნა და თავმჯდომარედაც იგივეა. ლაგოვარი გარეშე საქმეთა მინისტრია.

6 ნოემბერი

პეტერბურგი. „Journal de St.-Pétersbourg“-ი სწუხს, რომ ბრაზილიის იმპერატორი გადააყენეს ტახტიდგან და შიშობს ვაი თუ დიდის ხნით მოესპოს ბრაზილიას ის წესიერება და უვნებლობა, რომელიც და მყარდა იქ იმპერატორის მეფობაშიო.

რიო-დე-ჟანეირო. იმპერატორი თავის სახლეულობითურთ წავიდა ევროპაში.

ვენა. რუსინებმა იჩივლეს სეიმში, რომ რუსინთა ერის უფლებას არღვევენო.

რიო-დე-ჟანეირო. ცხადია, რომ იმპერატორს ძალა დაატანეს, წადი ევროპაშიო. საქმეები შესწყდა; ბანკები და კერძო კაცნი ერიდებიან რომ საქმე დაიჭირონ; ვაჭრობა შეჩერებულია. პროვინცია ბახია უარობს და არ უნდა მიემხროს რესპუბლიკას.

ათინა. მემკვიდრე ცესარევიჩი დღეს წავიდა ვენეტიკში კრეისერით „Адмиралъ Нахимовъ“.

პეტერბურგის ბირჟა, 3 ნოემბ.

| | მყიდველნი | გამყიდველნი | გარიგებულნი |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო | — „ | — „ | 7 59 |
| ტრამოყნის კუპონები | — „ | — „ | 151 |
| მანათიანი ვერცხლის ფული | — „ | — „ | 1 10 |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი | — „ | — „ | 244 |
| —მეორისა | — „ | — „ | $233^{3}/_{4}$ |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა | — „ | — „ | — „ |
| ქუთაისის ბანკისა | — „ | — „ | — „ |
| ტფილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებისა | — „ | — „ | — „ |

## გამოსადეგი ცნობანი

ნიხრი

1 ოქტომბრიდამ 1 ნოემბრამდე

| | | |
|---|---|---|
| თეთრი პური რუსული 1 გირ. | | 5 კაპ. |
| პური 1-ის ხარისხისა. | | $3^{1}/_{2}$ |
| „ 2 | „ | 3 „ |
| თონის წითელი პური 1-ის ხარ. | | 5 „ |
| „ „ 2 | „ | 4 „ |
| „ „ 3 | „ | $3^{1}/_{2}$ |
| ჯვარის მამის პურის ლავაში 1-ლის ხარისხისა. | | 5 „ |
| მე-2 ხარისხისა | | 4 „ |
| მე-3 — | | „ „ |
| მროხის ხორცი 1-ლის ხარისხისა. | | 8 „ |
| „ 2 | „ | 7 „ |
| სუკი | | 14 „ |
| ცხვრის ხორცი 1-ლის ხარისხისა. | | 7 „ |
| ღორის ხორცი | | „ „ |
| „ 2 | „ | „ „ |

## მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავ ზღვაზე

ბათუმიდამ გადის: ხუთშაბათობით ნაშუადღევის 4 საათზედ მოკლე გზით და ნოვოროსისკსა და ყირიმში შეივლის.

შაბათობით საღამოს 8 საათზე შორის გზით (ყველა ნავთ-სადგურებში შეივლის).

კვირაობით საღამოთი, საზღვარ-გარეთ, სტამბოლამდე მიდის.

ბათუმში მოდის ოდესიდამ: სამშაბათობით შუა-ღამისას შორის გზით.

პარასკევობით დილით ოდესიდამ მოკლეს გზით (ყირიმსა და ნოვოროსისკში შესვლით).

შაბათობით დილით სტამბოლიდამ.

ფოთიდამ ბათუმში მოდის: სამშაბათობით—იმის შემდეგ, როცა სოხუმიდამ მოდის გემი შორის გზით. ხუთშაბათობით—დილის 9 საათზე და მიასწრობს მოკლეს გზით მოსიარულე კავკასიისა და ყირიმის გემსა.

შაბათობით დილის 9 საათზე და მიასწრობს შორის გზით მოსიარულე კავკასია-ყირიმისა და რუმელია-ანატოლისკენ წამსვლელს გემებს.

ბათუმიდამ ფოთს მიდის პარასკევობითა და კვირაობით. რაკი გემი მოვა ფოთიდამ, ბათუმის სააგენტო გადასწყვეტს ხოლმე, როდის წავა უკან.

ამას გარდა ყოველ-კვირა ფოთში მოდიან ოდესიდამ და ყირიმ-კავკასიის ნავთ-სადგურიდან გადაწყვეტილს ვადაზე გემები.

# განცხადებანი

„წერა-კითხვის საზოგადოების“

წიგნის მაღაზიამ

მიიღო გასასყიდად ახალი წიგნები:

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| ისტორია საქართველოსი, დ. ბაქრაძისა | 1 | „ |
| მოკლე დარიგება ხეხილების გამრავლებაზე სურათებით, „მეურნეს გამოცემა“ | „ | 20 |
| დემეტრეს სახლობა, მოთხრობა ს. მგალობლიშვილისა. | „ | 15 |

წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების

## წიგნთ-საწყობში

(Дворцовая ул., Караванъ Сарай Земельн. Банка, № 102).

ისყიდება ყოველ გვარი წიგნები, რაც დღემდის დაბეჭდილა ქართულს ენაზე და გასასყიდად კიდევ მოიპოვება, და გარდა ამისა ახლად შეძენილი წიგნები:

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| ბედი უბედურთა, მოთხრობა ნ. ლომაურისა. | „ | 15 |
| Я. Гогебашвили. Руководство для учителей и учительницъ грузинскихъ начальныхъ школъ къ преподаванію по книгѣ того же автора „Русское Слово“. | „ | 50 |
| გაყა-ფშაველა, მოთხრობანი, „წერა-კითხვის საზოგადოების“ გამოცემა | „ | 30 |
| პატარა მოამბე, წიგნი II, ალ. მირიანაშვილისა, იმავ საზოგადოების გამოცემა | „ | 10 |
| გიორგი ბრწყინვალე, ნ. ურბნელისა, იმავ საზოგადოების გამოცემა | „ | 20 |
| ყდით | „ | 70 |
| ჩანგი, კრებული ლექსთა და სხვა | „ | 0 |
| ანუკა ბატონიშვილი, რჩეულოვისა. | „ | 0 |
| ცხოვრება დირსისა მარიამ ეგვიპტელისა, გამოცემა «სასულიერო წიგნთ-საკითხავისა» | „ | 10 |
| თამარიანი, რაფიელ ერისთავისა | „ | 60 |
| თორნიკე ერისთავი | 1 | |
| საყმაწვილო ამბები | „ | 40 |
| ნინო ორბელიანის ლექსები | „ | 40 |
| არითმეტიკა, მ. ყიფიანისა. | „ | 80 |
| სურამის ციხე | „ | 20 |
| გენათის მონასტერი, გამოც. ღამბაშიძისა | „ | 25 |
| ლოცვანი, ღამბაშიძისა | „ | 30 |
| ტიბიკონი, რ. ხუნდაძისა. | 1 | „ |
| საახალწლო, ნ. ნიკოლაძისა. | „ | 4[illegible] |
| ქადაგებანი გაბრიელ ეპისკოპოზისა I ნაწ. | 1 | 50 |
| II ნაწ. | 1 | 50 |
| საუკუნო ცოდნა, გიორგი წერეთლისა, მეორე გამოცემა ზ. ჭიჭინაძისა. | „ | 20 |
| ვაზის ობი | „ | 10 |
| დავით ასლანიშვილი-ჯანდიერი, ა. ფურცელაძისა | „ | 10 |
| სამართლის წიგნი კასტანგ რჯულ-მდებელისა (რუსულს ენაზე) | 3 | 50 |
| ხუთი ამბავი, საყმაწვილო ამბები, ფრანგულიდამ გადმოღებული ან. თუმანიშვილის მიერ. | „ | 15 |
| საქართველოს კალენდარი, გუნიასი | „ | 45 |
| ბუნების კარი, შედგენილი ი. გოგებაშვილისა | „ | 75 |
| დედა-ენა, მისივე, | „ | 30 |
| ქადაგებანი და მოძღვრებანი ამბროსი ნეკრესელისა, ალექსანდრე ეპისკოპოზის გამოცემა | „ | 50 |

## კოკორი

ანუ ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი, იაკობ გოგებაშვილის შედგენილი, მეათე შეცვლილი გამოცემა.

დაიბეჭდა „წერა-კითხვის საზოგადოების მიერ“ და ისყიდება ამ საზოგადოების წიგნის მაღაზიაში ტფილისში, სასახლის ქუჩაზედ, ბანკის ქარვასლაში. ფასი 10 კაპ.

ვინც ერთბაშად იყიდის არა ნაკლებ ათის ცალისა, წიგნი დაეთმობა ცხრა კაპეიკად, ვინც იყიდის ასს, ან მეტს ეგზემპლიარს, წიგნი მიეცემა რვა კაპეიკად.

ტფილისს გარეშე მყიდველთ უნდა მიჰმართონ წიგნის მაღაზიას ამ ადრესით: Въ Тифлисъ. Дворцовая улица, Карванъ-Сарай Земельнаго банка, № 102.

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

## ივერია

1889 წ. 1-ს იანვრიდამ გამოვა ყოველ-დღე გარდა იმ დღეებისა, რომელნიც ზედ მოსდევენ კვირა-უქმეებს.

| | | | |
|---|---|---|---|
| 12 თთვით | 10 მ. — კ. | 6 თთვით | 6 მ. — კ. |
| 11 „ | 9 „ 50 „ | 5 „ | 5 „ 25 „ |
| 10 „ | 8 „ 75 „ | 4 „ | 4 „ 70 „ |
| 9 „ | 8 „ — „ | 3 „ | 3 „ 50 „ |
| 8 „ | 7 „ 25 „ | 2 „ | 2 „ 50 „ |
| 7 „ | 6 „ 50 „ | 1 „ | 1 „ 75 „ |

საზღვარ-გარეთ დაბარებული ეღირება 17 მან. მთელის წლით. სოფლის მასწავლებელთ „ივერია“ მთელის წლით დაეთმობათ 8 მან. ტფილისის გარედ მცხოვრებთ უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით:

Тифлисъ, Въ редакцію газеты „ИВЕРІЯ“.

თუ ტფილისში დაკვეთილი გაზეთი ტფილისის გარეშე ადრესზედ შესცვალა ვინმე, უნდა წარმოადგინოს რედაქციაში ერთი მანათი; სხვა ყოველის ადრესის შეცვლაზე—40 კაპ.

თუ თთვის განმავლობაში დაიკვეთა ვინმემ გაზეთი არა მთელის წლით იმას მხოლოდ შემდეგი თთვის პირველს დღიდამ გაეგზავნება. განცხადებანი მიიღებიან გაზეთის რედაქციაში.

ფასი განცხადების დაბეჭდვისათვის:

ა) მეოთხე გვერდზედ თითო ჯერ სტრიქონი 8 კაპ., პირველზე—16 კაპ. ბ) სრული უკანასკნელი გვერდი 30 მანათი, ხოლო პირველი გვერდი—60 მანათი. რიცხვი სტრიქონებისა გამოიანგარიშება იმის კვალობაზე, რამდენს ადგილსაც დაიჭერს 25 ასო გაზეთის ტექსტისა.

ხელ-ნაწერი და საგაზეთოდ დანიშნული წერილები (კორრესპონდენციები) რედაქციის სახელობაზედ უნდა გამოიგზავნოს. მიღებული ხელ-ნაწერები, ანუ საგაზეთო წერილები, თუ საჭიროება მოითხოვს, ან შემოკლებულ, ან შესწორებულ იქმნება. არ-დასაბეჭდს ხელ-ნაწერებს, თუ ერთის თთვის განმავლობაში პატრონებმა არ მოიკითხეს, მერე რედაქციას ველარ მოსთხოვენ.

არა-გვარს მიწერ-მოწერას არ-დასაბეჭდთა ხელ-ნაწერებისა და წერილების შესახებ რედაქცია არა კისრულობს.

პირდაპირ მოლაპარაკებისათვის რედაქცია თავისუფალი იქნება ყოველ დღე, კვირა-უქმების გარდა, პირველ საათიდამ სამ საათამდე და საღამოობით 7-დამ 8 საათამდე.

რედაქცია იმყოფება: კუკიაში, ავჭალის ქუჩაზე, თ. გრუზინსკისეულს სახლებში.

## დედა ენა და ბუნების კარი

ახლად დაბეჭდილნი „წერა-კითხვის საზოგადოების“ მიერ

ისყიდება

„საზოგადოების“ კანცელარიაში.

ბუნების კარი უცვლელად არის დაბეჭდილი, დედა-ენა-კი შეცვლილი და შევსებულია ახალი მოთხრობებით, ლექსებით და სურათებით. ფასი უწინდელია, ესე იგი „დედა-ენა“ ღირს ექვსი შაური (30 კაპ.), ბუნების კარი—თხუთმეტი შაური (75 კაპ.).

ვინც ერთბაშად ნაღდ ფულზე იყიდის ოც-და-ათ ცალს დედა-ენისას, თითო წიგნი დაეთმობა ხუთ შაურად (25 კაპ.); ვინც იყიდის ათს ცალს ბუნების კარისას ნაღდსავე ფულზე, თითო წიგნი დაეთმობა თოთხმეტ შაურად (70 კაპ.), ვინც ოც-და ათს ცალსა,—ცამეტ შაურად (65 კაპ.), ვინც ასსა და მეტსა,—სამ აბაზად (60 კაპ.).

ვისაც ჰსურს ყდაში ჩასმული წიგნი იყიდოს, თითო წიგნზე კიდევ სამი შაური უნდა დაუმატოს.

ვინც ტფილისის გარეშე წიგნს დაიბარებს, გასაგზავნი ხარჯი თვითონ მყიდველმა უნდა იკისროს.

მყიდველებმა ამ ადრესით უნდა მოჰმართონ კანცელარიას: Тифлисъ. Въ канцелярію Общества грамотности, Дворцовая ул., домъ Зем. Банка, № 102.

До з. ценз. Тифлисъ 6-го Ноября, 1889 г. სტამბა ე. გ. მესხისა. (Типографія Е. Г. Месхи, пом. Т. Д. З. Банка на Фрейлинской ул.). რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.